საქართველოს მთავრობის

დადგენილება №68

2023 წლის 21 თებერვალი

ქ. თბილისი

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2022, 470000000.10.003.023820) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №8 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა – პროგრამული კოდი: 27 03 02 08) მე-6 მუხლის პირველ პუნქტს „ბ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ანტენატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების რეგიონალიზაციის პროცესის გათვალისწინებით, 2023 წელს დაშვებულ იქნეს ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იმ დაწესებულებების რეგისტრაცია, რომელთა მიერ საანგარიშგებო წლის წინა წლის განმავლობაში გატარებულ ორსულთა რაოდენობა აღემატება/ტოლია ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რაოდენობის 75%-ს/ის.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**